უსაფრთხოებასთან მიმართებით

შპს „საქაერონავიგაციის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სააერნაოსნო მომსახურეობის უზრუნველყოფა.
საჰაერო მოძრაობის მართვის უსაფრთხოების დონის ასამაღლებლად აუცილებელია ფრენების უსაფრთხოების მართვის სისტემის ფუნქციონირება, რომელიც წარმოადგენს შპს „საქაერონავიგაციის“ ხელმძღვანელობის პრიორიტეტს და პასუხისმგებლობას. უსაფრთხოების მართვის მთავარი მიზანია ფრენების უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა და მისი მუდმივი გაუმჯობესება საუკეთესო პრაქტიკისა და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.
შპს „საქაერონავიგაცია“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფრენების უსაფრთხოებას და მიზნად ისახავს უზრუნველყოს თანამშრომლები და მომხმარებლები უსაფრთხო გარემოთი. თითოეული თანამშრომლის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს დადგენილი ფრენების უსაფრთხოების პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა.
შპს „საქაერონავიგაცია“ უზრუნველყოფს საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფას ფრენების უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის, ფრენების უსაფრთხოების არსებული დონის შენარჩუნების და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით.
გენერალური დირექტორი, როგორც შპს „საქაერონავიგაციის“ უმაღლესი რგოლი, სხვა მოვალეობებთან ერთად პასუხისმგებელია როგორც ფრენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმიანობაზე, ასევე სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ დადგენილი სტანდარტების და მოთხოვნების დანერგვაზე.
ფრენების უსაფრთხოების პროგრამის მართვაზე პასუხისმგებელია ფრენების უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც ანგარიშვალდებულია და პირდაპირ ექვემდებარება გენერალურ დირექტორს.
ფრენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა ხელმძღვანელი პირის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურში ფრენების უსაფრთხოების მაღალი დონის შენარჩუნება.
შპს „საქაერონავიგაციის“ მიზანს წარმოადგენს პროაქტიული და გამოსასწორებელი მეთოდების შემუშავება სააერნაოსნო მომსახურებასთან დაკავშირებული საფრთხეებისა და რისკების შეფასების, მათი პრევენციის და შემცირების მიზნით.
შპს „საქაერონავიგაცია“ იღებს ვალდებულებას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დანერგვასა და შესრულებაზე.
ფრენების უსაფრთხოების და რისკების ანალიზი არის შპს „საქაერონავიგაციაში“ გადაწყვეტილებების მიღების განუყოფელი ნაწილი.
შპს „საქაერონავიგაციის“ გენერალური დირექტორი მოუწოდებს პერსონალს დანერგილი საავიაციო მოვლენათა შეტყობინების სისტემის ფარგლებში ნებისმიერი საავიაციო მოვლენის შესახებ შეტყობინების განხორციელებისკენ დადგენილი წესის მიხედვით, რაც მიმართულია შპს „საქაერონავიგაციის“ საავიაციო საქმიანობის უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე და საავიაციო შემთხვევების/ინციდენტების პრევენციაზე. აღნიშნული სისტემა შპს „საქაერონავიგაციის“ არადამსჯელობითი პოლიტიკის ფარგლებში არ გამოიყენება დისციპლინარული სანქციების ასამოქმედებლად გარდა შპს „საქაერონავიგაციის“ შინაგანაწესის მუხლი 7-ში განსაზღვრულია შემთხვევებისა.
ფრენების უსაფრთხოების მაღალი დონის შენარჩუნებას უპირატესობა გააჩნია ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და სოციალურ ასპექტებთან მიმართებაში. შპს „საქაერონავიგაცია“ იღებს ვალდებულებას შეინარჩუნოს და შეძლებისდაგვარად გააუმჯობესოს ფრენების უსაფრთხოების არსებული დონე.

ხარისხთან მიმართებით

საჰაერო ნავიგაციის მომსახურებების ხარისხი, მათი შესაფერისობის და საიმედოობის, ისევე როგორც შესაბამის კანონმდებლობასთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დონეა. „საქაერონავიგაცია“ საქართველოს საჰაერო სივრცეში უსაფრთხო, მოწესრიგებული და სწრაფი საჰაერო მოძრაობის ნაკადის უზრუნველყოფისკენ მიისწრაფის, თითოეული თანამშრომლის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების პროფესიულად, ფრენის უსაფრთხოებაზე ორიენტირებული და კოორდინირებული შესრულებით.

ჩვენს ძირითად ფასეულობებზე დაყრდნობით, რომლებიც არის ფრენის უსაფრთხოება, მაღალი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა, ჩვენი ხარისხის მართვის სისტემა მიზნად ისახავს ფუნქციონირების უმაღლეს სტანდარტებამდე მუდმივ გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოს უსაფრთხოების უმაღლესი დონის მიღწევა.

მოწოდებულნი ვართ მუდმივად ვაუმჯობესოთ გაწეული მომსახურების ხარისხი, თანამიმდევრულობა და სარგებლიანობა, შემდეგის განხორციელებით:

- შემუშავებული და დანერგილი ხარისხის პოლიტიკის მუდმივი შენარჩუნებით;
- მართვის სისტემის ეფექტურობისა მუდმივი გაუმჯობესებით;
- განსაზღვრული ფუნქციონირების ძირითადი ინდიკატორების (KPI) მონიტორინგით და მათი მნიშვნელობების გაუმჯობესებისთვის ხარისხის მიზნების დადგენით;
- ყველა შესაბამის რეგულაციებთან, მოთხოვნებთან და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გათვალისწინებულ საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობით;
- შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფით.

დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ:

გოჩა მეზვრიშვილი ხელმოწერა: _____ თარიღი: 12.სექ.2022